20.08.2019

ექსპორტის ფასების ინდექსი საქართველოში
2019 წლის ივლისი

ექსპორტის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 4.1 პროცენტით გაიზარდა. დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე ფასების 2.6 პროცენტიანი, ხოლო სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფზე 14.7 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ექსპორტის ფასების ინდექსი გაიზარდა 16.0 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე ფასები გაიზარდა 13.8 პროცენტით, ხოლო სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციაზე 32.3 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2019 წლის ივლისში ექსპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2018 წლის ივლისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**116.0**	**16.01**
C	**სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია**	**132.3**	**3.98**
D	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**113.8**	**12.03**
DA	კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი	111.5	4.85
DJ	ძირითადი ლითონები და ლითონის მზა ნაწარმი	124.0	5.45

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.



საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge